

## განრიდების პროგრამაში მონაწილეები ელექტრონულ ბიბლიოთეკას შექმნიან

ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაში დღეიდან „განრიდებისა და მედიაციის“ პროექტში ჩართული არასრულწლოვნებიც მიიღებენ მონაწილეობას. ამის შესახებ იუსტიციის სამინისტროში E-Book პროგრამის პრეზენტაციაზე განაცხადეს.

ელექტრონული წიგნის პრეზენტაცია იუსტიციის სამინისტროში 4 აპრილს გაიმართა. პროგრამის მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა ოთარ კახიძემ, საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა და Lib.ge-ს წარმომადგენელმა ისაუბრეს.

ელექტრონული წიგნის პროგრამა საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობის ერთ-ერთი საინტერესო სახეა. პროგრამის ფარგლებში, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს დაევალებათ მათთვის სპეციალურად შერჩეული წიგნის ელექტრონული ვერსიის შექმნა. წიგნის შერჩევა მოხდება არასრულწლოვნის განვითარების დონისა და მისი რეაბილიტაციის საჭიროებიდან გამომდინარე.

პროგრამა სასარგებლოა როგორც მასში მონაწილე ახალგაზრდებისათვის, ისე საზოგადოებისათვის, რადგან პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდა ერთდროულად - კითხულობს წიგნს, სწავლობს კომპიუტერთან მუშაობას და საზოგადოებისათვის ქმნის ელექტრონულ ლიტერატურას.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროექტს იუსტიციის სამინისტრო 2009 წლის ბოლოდან ახორციელებს. განრიდება სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატივას წარმოადგენს. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია, იგი განარიდოს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ელექტრონული წიგნის პროგრამა იუსტიციის სამინისტროს, ეროვნული არქივისა და Lib.ge-ს მიერ ერთობლივად, საგრანტო პროგრამის ფარგლებში განხორციელდება.